საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030689712566620

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/779 **13 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

კარგად მოგეხსენებათ, თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად პრევენტირებადი პრობლემაა მსოფლიოში. თამბაქოს გლობალური ეპიდემია ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიონ ადამიანს კლავს, ყოველ 6 წამში ერთი ადამიანი იღუპება. მსოფლიოში თამბაქოს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 12%; საქართველოში კი სიტუაცია ამ მიმართულებით ბევრად უფრო ტრაგიკულია - ეს მაჩვენებელი 25%-ს აღწევს.

ქართული საკანონმდებლო რეფორმა სრულ თანხვედრაშია თამბაქოს კონტროლის სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებთან; და, ასევე, რაც მნიშვნელოვანია, სრულ შესაბამისობაშია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებულებებთან.

საკანონმდებლო ცვლილებების ერთერთი მიზანი მოწევის შეწყვეტის მსურველთა ხელშეწყობაა თავი დაანებონ მოწევას და მწეველების ხელშეწყობა გაუჩნდეთ ძლიერი მოტივაცია თავი დაანებონ მოწევას. ჯანმოს ევროპის რეგიონის პროექტებისა და ჯანმრთელობის ხელსეწყობის სახელმწიფო პროგრამის თამბაქოს კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს პირველადი ჯანდაცვის ექიმების მომზადება თამბაქოსთვის თავის დანებების ხანმოკლე კონსულტაციების სერვისის მიწოდებაში; ფუნქციონირებს თამბაქოზე თავის დანებების ცხელი ხაზი 116001; ფუნქციონირებს თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მობილური აპლიკაცია; რამდენიმე ექიმი გადამზადდა თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის საკითხებში. ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რაც ასევე წარმოადგენს თამბაქოსთვის თავის დანებების ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის ერთერთ მიმართულებას, თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის ადვოკატირება, თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო პრეპარატების აუცილებელი მედიკამენტების სიაში და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მედიკამენტთა სიაში მოხვედრა, რა მიმართულებითაც სამინისტროს მიერ უკვე გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპირაციულ დაავადებათა ასოციაციისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თამბაქოს ჯგუფის თანამშრომლობით შეიქმნა მოწევის შეწყვეტის ხელშეწყობის სახელმძღვანელო (გაიდლაინი), რომელიც თანხვედრაშია თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის მე-14 მუხლისა და მისი გაიდლაინების

მოთხოვნებთან და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებასთან. იმისათვის, რომ სწორად დაისვას ნიკოტინზე (თამბაქოზე) დამოკიდებულების დიაგნოზი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის (დსკ-10) კოდებს დაემატოს ნიკოტინური დამოკიდებულების სინდრომის გაფართოებული კოდები დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის კლინიკური მოდიფიკაციის (2020 ICD-10-CM Codes F17*: Nicotine dependence) შესაბამისად.

წარმოგიდგენთ-რა კოდების ჩამონათვალს დანართის სახით, გთხოვთ, მის განხილვას სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებში.

საქართველოს რესპირაციული საზოგადოება და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მზად არიან ჩაერთონ პროცესებში კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე